საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/58

ქ. ბათუმი 13 აპრილი, 2021 წ.

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის ,,ქცევის გამოყენებითი ანალიზის საბაზისო კურსი" მსმენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი"-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 19 ოქტომბრის N 01-08/137 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს სხდომის 2021 წლის 03 თებერვლის №20-19/02 ოქმის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის ,,ქცევის გამოყენებითი ანალიზის საბაზისო კურსი" დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 10 მარტის N 01-02/41 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე „ქცევის გამოყენებითი ანალიზის საბაზისო კურსი" სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და **ხარჯთაღრიცხვის** დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 06 აპრილის N01-10/32 ბრძანების, და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მასწავლებელთა გადამზადებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულების კოორდინატორის, ასოც პროფ. თემურ ავალიანის 2021 წლის 04 აპრილის № 320433 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ქცევის გამოყენებითი ანალიზის საბაზისო კურსი" (შემდგომში

„პროგრამა“) ჩასარიცხ მსმენელებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა **N1 დანართის** შესაბამისად.

2. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მასწავლებელთა გადამზადებისა და სკოლამდელი აღზრდის მიმართულების კოორდინატორმა (თ. ავალიანი) უზრუნველყოს უწყვეტი განათლების მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ქცევის გამოყენებითი ანალიზის საბაზისო კურსი“ ჩარიცხვის მსურველებთან წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ფორმის (ნიმუშის) შესაბამისად ხელშეკრულებების გაფორმება (ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულებისა და ამ პროგრამის დამტკიცებისა და ხარჯთაღრიცხვის ბრძანების გათვალისწინებით) და მსმენელთა ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის მიზნით შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,რექტორის ბრძანებები“, ,,საუნივერსიტეტო ნორმატიულ აქტები“ და ,,**ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ველში).**
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიულ დეპარტამენტს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**

,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის *,,ქცევის გამოყენებითი ანალიზის საბაზისო კურსი"* მსმენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ"

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 13 ივნისი № 01-02/58 ბრძანების

დანართი №1

ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი „ ....." ,,..... ", ... წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - **,,ბსუ"**), წარმოდგენილი მისი რექტორის მიერ და მეორე მხრივ ---------- (შემდეგში ,,მსმენელი")

ვთანხმდებით შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანია** მსმენელის მიერ ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულებით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის ----,,ქცევის გამოყენებითი ანალიზის საბაზისო კურსი" (შემდგომში - **„პროგრამა"**) გავლა.
2. პროგრამაზე სწავლის საფასური შეადგენს 300 ლარს ერთ სატრენინგო ჯგუფზე (არანაკლებ 10 და არაუმეტეს 25 მსმენელის შემადგენლობით სატრენინგო ჯგუფში, ტრენერის საკონტაქტო საათი ჯგუფთან - 50 საათი).
3. პროგრამაზე სწავლის საფასური გადახდილი უნდა იქნეს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისთანავე.
4. **მსმენელი ვალდებულია** შეასრულოს ბსუ-ს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულებით და შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები სასწავლო პროცესთან და წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით.
5. **ბსუ ვალდებულია** შეუქმნას მსმენელს პროგრამის გავლისათვის შესაბამისი პირობები (სასწავლო პროცესის ვადა, სწავლების ფორმატი და ჩატარების ადგილი, განისაზღვრება პროგრამაზე მსმენელთა ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანებით).
6. **ბსუ უფლებამოსილია** მსმენელის მიერ ამ ხელშეკრულების მოთხოვნების დარღვევის, 50%-ზე მეტი ოდენობით მეცადინეობაზე გამოუცხადებლობის ამორიცხოს იგი მსმენელთა სიიდან, გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების გარეშე.

,,მხარეთა ხელმოწერები"

„ბსუ"

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
- ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ.
№35/32

(რექტორის ხელმოწერა)

„მსმენელი"

სახელი, გვარი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
პირადი № _
ფაქტობრ. მისამთ._ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _
_
რეგისტრ.მისამ. ----------
ტელეფონი _
ელ. ფოსტა_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

მსმენელის ხელმოწერა _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _